

დანართი N---

ქ. _____

აბონენტი (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საკონტაქტო ნომერი, ელ. ფოსტა):

ადასტურებს, რომ ეთანხმება ქვემოთმოცემულ „აქციის“ პირობებს:

აქციის დასახელება : აქცია "სილქ +"

1. აქციის პირობები:

აქციის "სილქ +" (შემდგომში "აქცია") ფარგლებში "სილქნეტის" ოპტიკური ინტერნეტის და სატელევიზიო მომსახურების აბონენტს შესაძლებლობა აქვს, დარეგისტრირდეს აქციაზე "სილქ +" და აქციაში ჩართოს მობილური სატელეფონო მომსახურება „ჯეოსელის“ არაუმეტეს 5 ნომერი. აქციაში ჩართულ ინტერნეტ, სილქ ტვ და მობილურ სატელეფონო მომსახურებებზე გავრცელდება აქციით განსაზღვრული სხვადასხვა სააბონენტო პაკეტის სპეციალური ჯამური ფასდაკლებული ტარიფები.

2. აქციის მოქმედების ვადა - 1 (ერთი) წელი.

3. აქციაშია მონაწილე აბონენტები/პაკეტები:

3.1. აქცია ვრცელდება შემდეგი კატეგორიის აბონენტებზე:

"სილქნეტის" ოპტიკური ფიქსირებული მომსახურებების ფიზიკური პირი აბონენტები; "სილქნეტის" ფიქსირებული მომსახურებების სააბონენტო ანგარიშის მფლობელ აბონენტს უფლება აქვს "სილქ +" აქციაში ჩართოს მომსახურება "ჯეოსელის" ფიზიკური პირი აბონენტები.

3.2. აქციაში მონაწილეობს შემდეგი პაკეტები:

"სილქ +" აქციით გათვალისწინებულ სატარიფო გეგმებში მონაწილეობს ფიქსირებული მომსახურებების შემდეგი პაკეტები:

- ოპტიკურ ინტერნეტ პაკეტები: "სტარტ +" , "სუპერდრაივი";
- ოპტიკური სატელევიზიო მომსახურების პაკეტები: "ეკონომი", "კომფორტი", "პრემიუმ" და "პრემიუმ"

"სილქ +" აქციით გათვალისწინებულ სატარიფო გეგმებში მონაწილეობს მობილური მომსახურების შემდეგი პაკეტები:

- "მეტი M", "მეტი უსასრულო" , "მეტი უსასრულო +".

4. აქციის პირობები:

4.1. "სილქ +" აქციაში ჩართვის მსურველი პირი, რომელიც აქციაში ჩართვამდე უკვე სარგებლობს სილქნეტის ორმაგი შეთავაზების (სპეციალურ ფასის მქონე) მომსახურებებით, "სილქ +" აქციაზე დარეგისტრირებას შეძლებს სილქნეტის სერვის ცენტრში პირადად მისვლით, სილქნეტის ცხელ ხაზზე დარეკვით, სილქნეტის ონლაინ პორტალის საშუალებით "სილქ +" აქციაზე რეგისტრაციის გავლით; "სილქ +" აქციის გააქტიურება ხდება მოთხოვნის მიღებისთანავე;

4.2. თუ "სილქ +" აქციაში ჩართვის მსურველი პირი არ სარგებლობს "სილქნეტის" ინტერნეტ ან/და სატელევიზიო მომსახურებით, "სილქ +" აქციაში ჩართვის მიზნით, პირველ რიგში, უნდა გაიაროს რეგისტრაცია "სილქნეტის" აღნიშნულ მომსახურებებზე, ხოლო შემდგომ გაიაროს

რეგისტრაცია "სილქ +" აქციაზე და მიუთითოს სასურველი მომსახურება "ჯეოსელის" ნომერი/ნომრები და სააბონენტო პაკეტები, რომელთა "სილქ +" აქციაში ჩართვაც სურს; შედეგად, სილქნეტის მომსახურებების ინსტალაციის დასრულებისთანავე, მოხდება "სილქ +" აქციის გააქტიურება / მომსახურება "ჯეოსელის" ნომრების "სილქ +" აქციაში ჩართვა; აღნიშნულ მოთხოვნებს "სილქ +" აქციაში ჩართვის მსურველი პირი აფიქსირებს სილქნეტის/ჯეოსელის სერვისის ცენტრში მისვლით ან სილქნეტის ცხელ ხაზზე დარეკვით;

4.3. "სილქ +" აქციაში ჩართვის მსურველი პირი, რომელიც "სილქ +" აქციაში ჩართვამდე უკვე სარგებლობს სილქნეტის ორმაგი შეთავაზების (სპეციალურ ფასად) ფიქსირებული მომსახურებებით, "სილქ +" აქციაში ჩართვება აქციაზე დარეგისტრირებისთანავე (მის მიერ მითითებულ მომსახურება "ჯეოსელის" ნომრებზე გააქტიურდება მის მიერ შერჩეული მომსახურება "ჯეოსელის" სააბონენტო პაკეტი/ები "სილქ +" აქციით შეთავაზებული პაკეტის სპეციალური ჯამური ფასდაკლებული ტარიფის ფარგლებში);

4.4. "სილქ +" აქციაში ჩართვის მსურველი პირი, რომელიც "სილქ +" აქციაში ჩართვამდე უკვე სარგებლობს სილქნეტის ფიქსირებული მომსახურებებით, მაგრამ არა აქვს გააქტიურებული სილქნეტის ორმაგი შეთავაზება (სპეციალურ ფასად), "სილქ +" აქციაში ჩართვება სილქნეტის ორმაგ შეთავაზებაში (სპეციალურ ფასის მქონე) ჩართვისა და აქციაზე დარეგისტრირებისთანავე (მის მიერ მითითებულ მომსახურება "ჯეოსელის" ნომრებზე გააქტიურდება მის მიერ შერჩეული მომსახურება "ჯეოსელის" სააბონენტო პაკეტი/ები "სილქ +" აქციით შეთავაზებული პაკეტის სპეციალური ჯამური ფასდაკლებული ტარიფის ფარგლებში);

4.5. "სილქ +" აქციაში ჩართვის მსურველი პირი, რომელიც "სილქ +" აქციაში ჩართვამდე არ სარგებლობდა სილქნეტის მომსახურებებით, "სილქ +" აქციაში ჩართვება სილქნეტის ორმაგ შეთავაზებაში (სპეციალურ ფასის მქონე) რეგისტრაცია/ ჩართვის შემდგომ - სილქნეტის ფიქსირებული მომსახურებების სააბონენტო ანგარიშის გააქტიურებისთანავე (მის მიერ მითითებულ მომსახურება "ჯეოსელის" ნომრებზე გააქტიურდება მის მიერ შერჩეული მომსახურება "ჯეოსელის" სააბონენტო პაკეტი/ები), თუ აქციით გათვალისწინებული რომელიმე შეზღუდვა არ ფიქსირდება სილქნეტის ფიქსირებულ მომსახურებებზე ან მომსახურებაზე "ჯეოსელი";

4.6. "სილქ +" აქციით, სილქნეტის ერთი სააბონენტო ანგარიშის ფარგლებში, სილქნეტის ფიქსირებული მომსახურებების ანგარიშის მფლობელის მიერ შესაძლებელია მომსახურება "ჯეოსელის" არაუმეტეს 5 (ხუთი) ნომრის ჩართვა. "სილქ +" აქციით განსაზღვრული პაკეტის სპეციალური ჯამური ფასდაკლებული ტარიფის ფარგლებში სილქნეტის ფიქსირებული ქსელის აბონენტმა უნდა ჩართოს მინიმუმ ერთი მომსახურება "ჯეოსელის" ნომერი და "სილქ+" აქციით განსაზღვრული მომსახურება "ჯეოსელის" ერთ-ერთი პაკეტი;

4.7. "სილქ+" აქციაში მონაწილე ნებისმიერი "სილქ+" პაკეტის (გარდა პაკეტისა "სილქ +" - 119 ლარი) არჩევისას, აქციით განსაზღვრული "სილქ+" პაკეტის ღირებულების ფარგლებში ჩართული მომსახურება "ჯეოსელის" ნომრები არ უნდა აღემატებოდეს 2-ს; აღნიშნულ 2 ნომრზე გააქტირებული უნდა იყოს "სილქ +" შეთავაზებით გათვალისწინებული შესაბამისი ჯეოსელის პაკეტი "მეტი" მინიმუმ 1 ნომრზე, ხოლო თუ მეორე ნომრზე არ არის გააქტირებული შესაბამისი ჯეოსელის პაკეტი, ამ შემთხვევაში მუდმივად იქნება ერთი ნომერი დარეზერვებული აღნიშნული პაკეტის აქტივაციისათვის. ამასთან, აქციით განსაზღვრული "სილქ+" პაკეტის ღირებულების ფარგლებში შემავალი ნომრების ზემოთ, ყოველ დამატებით ნომრზე (რომლებსაც აგრეთვე დაერიცხება აქციით განსაზღვრული ტარიფი, რა დროსაც აქციაში მონაწილე ნომრების საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 5-ს) სილქნეტის აბონენტს შეუძლია გააქტიუროს აქციით გათვალისწინებული მომსახურება "ჯეოსელის" სხვადასხვა პაკეტი; ასეთი ნომრების ღირებულება არ შედის აქციის "სილქ+" აქციის პაკეტის სპეციალურ ჯამურ ფასდაკლებულ ტარიფში;

4.8. "სილქ" აქციის პაკეტი "სილქ +" - 119 ლარად" არჩევის შემთხვევაში, სილქნეტის ერთ სააბონენტო ანგარიშზე, "სილქ+" პაკეტის ღირებულების ფარგლებში, ანგარიშის მფლობელის მიერ შესაძლებელია არაუმეტეს 5 ნომრის ჩართვა; აქციით განსაზღვრული "სილქ+" პაკეტის ჯამური ღირებულების ფარგლებში ჩართული მომსახურება "ჯეოსელის" ნომრები არ უნდა აღემატებოდეს 5 -ს;

4.9. "სილქ +" აქციაში ჩართული მომსახურება "ჯეოსელის" პაკეტის მოქმედების ვადაა 1 კალენდარული თვე (რაც იანგარიშება ყოველ კონკრეტულ თვეში პაკეტის აქტივაციის შესაბამისი რიცხვიდან - მომდევნო თვის იმავე რიცხვის ჩართვლით პერიოდით);

4.10. აქციის მოქმედების პერიოდში მომსახურება "ჯეოსელის" აბონენტს შეუძლია მის ნომრზე დამატებით შეიძინოს მომსახურება "ჯეოსელის" სხვა დამატებითი სერვისები სტანდარტულ ფასად, რომლის ანგარიშსწორებას აბონენტი ახდენს მომსახურება "ჯეოსელის" შესაბამის ანგარიშზე.

4.11. "სილქ+" აქციიდან მომსახურება "ჯეოსელის" ნომრის გასვლისას, აქციით მოსარგებლე პირს შეუწარმუნდება სილქნეტის ფიქსირებული მომსახურებების ის პაკეტები, რაც ჰქონდა ნომრის აქიდან გასვლის მომენტში, ხოლო მომსახურება "ჯეოსელის" ნომრზე/ნომრებზე აღარ

მოხდება პაკეტის მომდევნო აქტივაცია და როგორც მომსახურება "ჯეოსელის" აბონენტი, ისარგებლებს ჯეოსელის ნომერზე მოქმედი სტანდარტული ტარიფებით. აბონენტი, აქციის გაუქმებამდე გააქტიურებული მომსახურება "ჯეოსელს" მიიღებს აქციაში ჩართული მომსახურება "ჯეოსელის" პაკეტის/ების მოქმედების ვადის დასრულებამდე;

4.12. "სილქ +" აქციიდან გასვლა/ სილქ + აქციაში მომსახურებ(ებ)ის გაუქმება კალენდარული თვის განმავლობაში არ არის შეზღუდული;

4.13. აქციაში ჩართულ ნომერზე პაკეტის გააქტიურებისას მოწმდება ჯეოსელის ნომრის აქტიურობის სტატუსი. აქციაში ჩართვის შემდეგ ჯეოსელის ნომრის პორტირებისას ან გაუქმებისას ავტომატურად მოხდება ჯეოსელის ნომრის აქციიდან გასვლა;

4.14. სილქნეტის აბონენტისთვის, რომელიც 1. ჩართულია აქციაში ან 2. იაქტიურებს სილქნეტის ფიქსირებულ მომსახურებებს, და ჯეოსელის ნომერზე პაკეტის გააქტიურებისას ფიქსირდება შეზღუდვები (ნომერზე ჯეოსელის არათავსებადი პაკეტი ან დავალიანება, რისთვისაც უნდა მიმართოს მომსახურე კომპანის), აბონენტს არ გაუაქტიურდება ჯეოსელის პაკეტი და დარიცხვა გაგრძელდება ისე, როგორც აბონენტს ეკუთვნის ორმაგი შეთავაზების პირობებით. შეზღუდვის აღმოფხვრის შემდეგ აბონენტს ჯეოსელის პაკეტი გაუაქტიურდება და გაგრძელდება აქციით განსაზღვრული სპეციალური ჯამური ფასდაკლებული ტარიფის დარიცხვა; თუ შეზღუდვის აღმოფხვრა არ მოხდება შეზღუდვის დაფიქსირებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში, აბონენტს ავტომატურად შეუწყდება აქცია და დაიწყება სილქნეტის ფიქსირებული მომსახურებების ორმაგი შეთავაზების სპეციალური ტარიფის დარიცხვა;

4.15. სილქნეტის ფიქსირებული მომსახურებები, "სილქ +" აქციაზე რეგისტრაციისას უნდა იყოს აქტიური (მათ შორის მომსახურებები არ უნდა იყოს დროებით შეჩერებული);

4.16. როგორც აქციაზე ჯეოსელის ნომრ(ებ)ის პირველადი რეგისტრაციისას, ასევე აქციის მოქმედებისას, აქციაში ჩართულ ყველა ჯეოსელის ნომერზე, ყოველი პაკეტის აქტივაციისას მოწმდება ჯეოსელის ნომრის სტატუსი, კერძოდ, შესაძლებელია თუ არა ჯეოსელის ნომერზე აქციით გათვალისწინებული პაკეტის აქტივაცია; ჯეოსელის ნომერზე ნებისმიერი შეზღუდვის არსებობისას დეტალურ ინფორმაციას შეზღუდვის შესახებ, ჯეოსელის აბონენტი ინფორმაციას იღებს ჯეოსელის ცხელ ხაზზე;

4.17. ჯეოსელის ნომრის გადამოწმებისას, თუ დაფიქსირდება რომ ნომერი არ არის ჯეოსელის აბონენტი, ავტომატურად ხდება ნომრის აქციიდან გათიშვა, მიუხედავად იმისა, ნომერი უკვე ჩართულია აქციაში თუ აქციაში ერთვება;

4.18. თუ აქციაში მონაწილე ჯეოსელის ნომერზე პაკეტის გააქტიურებისას, ფიქსირდება გარკვეული შეზღუდვები (გარდა 8.17 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვისა), აბონენტს არ გაუაქტიურდება ჯეოსელის პაკეტი, თუმცა არ მოხდება აქციაში ჩართული ჯეოსელის ნომრის აქციიდან ავტომატური გასვლა; ასეთ შემთხვევაში არ მოხდება აქციით გათვალისწინებული ჯეოსელის პაკეტის თანხის დარიცხვა და ჯეოსელის აბონენტს ეძლევა 5 კალენდარული დღე, რომ ჯეოსელის ნომერი გახადოს აქციასთან თავსებადი (მოიხსნას შეზღუდვა); თუ შეზღუდვა არ მოიხსნა 5 კალენდარული დღის განმავლობაში, აქციაში ჩართული ჯეოსელის ნომერი ავტომატურად გავა აქციიდან, ხოლო შეზღუდვის მოხსნის შემთხვევაში გააქტიურდება აქციაში მონაწილე ჯეოსელის პაკეტი და მოხდება აქციით შეთავაზებული პაკეტის სპეციალური ჯამური ფასდაკლებული ტარიფის დარიცხვა სილქნეტის ანგარიშზე;

4.19. თუ "სილქნეტის" ფიქსირებული მომსახურებების გააქტიურებისას (ინსტალაციის დასრულებისას) "სილქ +" აქციაში ჩასართავ ჯეოსელის ნომერზე ფიქსირდება შეზღუდვები (გარდა 8.17 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვისა), აბონენტს არ გაუაქტიურდება ჯეოსელის პაკეტი, თუმცა არ მოხდება აქციაში ჩართული ჯეოსელის ნომრის აქციიდან ავტომატური გასვლა; ასეთ შემთხვევაში არ მოხდება აქციით გათვალისწინებული ჯეოსელის პაკეტის თანხის დარიცხვა და ჯეოსელის აბონენტს ეძლევა 5 კალენდარული დღე, რომ ჯეოსელის ნომერი გახადოს აქციასთან თავსებადი (მოიხსნას შეზღუდვა); თუ შეზღუდვა არ მოიხსნა 5 კალენდარული დღის განმავლობაში, აქციაში ჩართული ჯეოსელის ნომერი ავტომატურად გავა აქციიდან, ხოლო შეზღუდვის მოხსნის შემთხვევაში გააქტიურდება აქციაში მონაწილე ჯეოსელის პაკეტი და მოხდება აქციით შეთავაზებული პაკეტის სპეციალური ჯამური ფასდაკლებული ტარიფის დარიცხვა სილქნეტის ანგარიშზე;

4.20. თუ მომსახურება "ჯეოსელის" ნომერზე პაკეტის გააქტიურებისას ან ჯეოსელის ნომრის "სილქ +" აქციაზე რეგისტრაციისას, ჯეოსელის პაკეტის აქტივაციისას მომსახურება "ჯეოსელის" პაკეტზე დასარიცხი თანხის ოდენობა აღემატება სილქნეტის ერთ სააბონენტო ანგარიშზე არსებული ფიქსირებულ მომსახურებებზე საანგარიშო თვის განმავლობაში გასახარჯი მაქსიმალური ჯამური თანხის (შემდგომში "დავალიანების ლიმიტის") ოდენობას (ან დავალიანების ლიმიტის გაუხარჯავ ოდენობას), არ მოხდება ჯეოსელის ნომერზე პაკეტის აქტივაცია; სილქნეტის ფიქსირებული მომსახურებების აბონენტს ეძლევა 5 (ხუთ) კალენდარული დღის ვადა, რომ დაფაროს დავალიანების

ლიმიტი და ჩაერთოს "სილქ+" აქციაში; თუ 5 (ხუთ) კალენდარული დღის შემდეგ, სილქნეტის ფიქსირებული მომსახურებების აბონენტი არ დაფარავს დავალიანების ლიმიტს, მოხდება მომსახურება "ჯეოსელის" ნომრის "სილქ+" აქციიდან ავტომატური გათიშვა;

4.21. ჯეოსელის კონკრეტული ნომერი უნდა მიეზას "სილქ+" აქციისთვის გამოყოფილ სილქნეტის მხოლოდ ერთ ანგარიშის ნომერს. აქციაში ჯეოსელის ნომრის ჩართვისას, უნდა გადამოწმდეს, ხომ არ არის ეს ნომერი ჩართული აქციაში სილქნეტის სხვა ანგარიშის ფარგლებში. სილქნეტის ახალ ანგარიშზე ნომრის გადატანა უნდა მოხდეს მხოლოდ ძველი ანგარიშის ფარგლებში გააქტიურებული აქციიდან ჯეოსელის ნომრის ამოღების შემდგომ;

4.22. "სილქ+" აქციაში ნომრის ჩართვა/ამოღება შეუძლია სილქნეტის აბონენტს სტანდარტული იდენტიფიკაციის გავლის შემდეგ, ნომრის მფლობელის თანხმობის გარეშე. აქციიდან ნომრის ამოღება შესაძლებელია ასევე ჯეოსელის აბონენტის მიერ ჯეოსელის ნომრიდან USSD კოდის აკრეფით: *211#;

4.23. "სილქ+" აქციიდან ჯეოსელის ნომრის ამოღების შემთხვევაში, ჯეოსელის აბონენტი ისარგებლებს ნომერზე გააქტიურებული აქციის პირობებით - შესაბამისი პაკეტის ვადის ამოწურვამდე, ხოლო პაკეტის ვადის გასვლის შემდგომ აღარ მოხდება ჯეოსელის პაკეტის გააქტიურება სილქნეტის ანგარიშზე. თუ აქციიდან ნომრის/ების ამოღების შემდეგ სილქნეტის სააბონენტო ანგარიშზე აღარ რჩება მიბმული ჯეოსელის არც ერთი სატელეფონო ნომერი, მოხდება "სილქ+" აქციის გაუქმება და სილქნეტის ანგარიშზე გააქტიურებული რჩება მხოლოდ სილქნეტის ორმაგი შეთავაზების (სპეციალური ფასის მქონე) მომსახურება;

4.24. იმ შემთხვევაში, თუ "სილქ+" აქციის ანგარიშზე მინიმუმ ერთ ჯეოსელის ნომერზე მაინც არ არის გააქტიურებული აქციით (სატარიფო გეგმით) გათვალისწინებული შესაბამისი ჯეოსელის სატარიფო გეგმა, მოხდება აქციის გაუქმება;

4.25. სილქნეტის მომსახურების მიღების მსურველი პირის აქციაზე რეგისტრაციის შემდეგ, სილქნეტის მომსახურებების ინსტალაციამდე პერიოდში, "სილქ+" აქციის ფარგლებში სილქნეტის ანგარიშზე მიბმული ჯეოსელის ნომერი ვერ დარეგისტრირდება სილქნეტის სხვა ანგარიშის ნომერზე (იმავე აქციის ფარგლებში);

4.26. აქციაზე რეგისტრაციის მომენტიდან აქციაში ჩართვამდე პერიოდში შესაძლებელია ჯეოსელის ნომრის შეცვლა (ასევე არ არის შეზღუდული ამ პერიოდში ნომრის/ების შეცვლის რაოდენობა);

4.27. აქციაში ჩართვისთანავე იწყება სილქნეტის ფიქსირებული მომსახურებების ღირებულების დარიცხვა სტანდარტული წესით (რაც ჯამურად აისახება ანგარიშზე შესაბამისი მომსახურების გაწევის თვის ბოლო რიცხვში), ხოლო მომსახურება "ჯეოსელის" ღირებულების სრულად დარიცხვა ხდება ჯეოსელის სააბონენტო პაკეტის ყოველი აქტივაციისთანავე; ჯეოსელის ყოველი შემდეგი პაკეტის აქტივაცია მოხდება შემდეგი თვის იგივე რიცხვში, რა რიცხვშიც გააქტიურდა პაკეტი წინა თვეს. ამასთან, ღირებულებათა განაწილება აქციაში მონაწილე ფიქსირებულ ან მოზილურ სერვისებზე პირობითია და დადგენილია დარიცხვის გამარტივების მიზნით;

4.28. დავალიანების გადაუხდელობის გამო, სილქნეტის ფიქსირებული მომსახურების შეზღუდვა არ გამოიწვევს მომსახურება "ჯეოსელის" შეზღუდვას; აბონენტი მიიღებს ჯეოსელის პაკეტს მისი მოქმედების ერთთვიანი ვადის ამოწურვამდე; თუ აბონენტს სილქნეტის ფიქსირებული მომსახურებები შეზღუდული ექნება ჯეოსელის პაკეტის ავტომატური გააქტიურების თარიღისთვის, ჯეოსელის ნომერზე პაკეტის გააქტიურება აღარ მოხდება. ჯეოსელის პაკეტი ავტომატურად გააქტიურდება სილქნეტის დავალიანების ფიქსირებულ მომსახურებებზე არსებული დაფარვისთანავე, რომლის შედეგად შეიცვლება ჯეოსელის პაკეტის ავტომატური გააქტიურების თარიღი;

4.29. **შეზღუდულია** აქციაში ჩართული ფიქსირებული მომსახურებების **დროებით შეჩერება**; სილქნეტის მომსახურების დროებით შეჩერებისათვის აბონენტი უნდა გავიდეს აქციიდან და შემდგომ ისარგებლოს დროებით შეჩერების მომსახურებით;

4.30. "სილქ+" აქციაში ჩართული სილქნეტის ფიქსირებული მომსახურებების პაკეტების ცვლილება ხდება სტანდარტული წესით; თუ აბონენტი ირჩევს სილქნეტის ფიქსირებული მომსახურებების ისეთ პაკეტს, რომელიც არ მონაწილეობს "სილქ+" აქციაში, ავტომატურად მოხდება "სილქ+" აქციის გაუქმება, ხოლო მომსახურება "ჯეოსელის" ნომრებზე მოხდება აქციის პირობებით გააქტიურებული შესაბამისი პაკეტ(ებ)ის შენარჩუნება მისი მოქმედების ვადის ამოწურვამდე;

4.31. თუ სილქნეტის ფიქსირებული მომსახურებების აბონენტი შეცვლის მომსახურება "ჯეოსელის" პაკეტ(ებ)ს "სილქ+" აქციით გათვალისწინებული ჯეოსელის სხვა პაკეტ(ებ)ით, მომსახურება "ჯეოსელის" ახალი პაკეტ(ებ)ის საფასური სააბონენტო ანგარიშს დაერიცხება გააქტიურების დღეს; მომსახურება "ჯეოსელის" ახალი პაკეტი გაუაქტიურდება დაუყოვნებლივ და გააქტიურების თარიღი

ათვლება მომსახურება "ჯეოსელის" ახალი პაკეტის გააქტიურების თარიღიდან. ამასთან, წინა პაკეტის გაუხარჯავი სასაუბრო წუთები/სმს/მეგაბაიტები დაჯამდება ახალი პაკეტის წუთებზე/სმს-ზე/მეგაბაიტებზე.

4.32. "სილქ+" პაკეტის ცვლილებისას, თუ აბონენტი გადავა ისეთ "სილქ+" პაკეტზე (აქციის კომბინაციური პაკეტი), რომელშიც შესული იქნება მოქმედ "სილქ+" პაკეტში შემავალისგან განსხვავებული მომსახურება "ჯეოსელის" მობილური სატელეფონო ან/და სილქნეტის ინტერნეტ პაკეტები, მოხდება "სილქ+" აქციის გაუქმება და აუცილებელი იქნება შერჩეულ "სილქ+" პაკეტზე ხელახალი რეგისტრაცია; აღნიშნულ შემთხვევაში "სილქ+" აქციის სატარიფო გეგმის ცვლილება დასაშვებია მხოლოდ სილქნეტის ცხელი ხაზის და სერვის ცენტრის მეშვეობით

4.33. სილქნეტის ფიქსირებული მომსახურებების აბონენტის მხრიდან მომსახურება "ჯეოსელის" ნომრის ცვლილება ხდება ნომრის "სილქ+" აქციიდან ამოღებით და ახლის ჩართვით. ახალ ნომერზე პაკეტის გააქტიურება მოხდება ნომრის ცვლილების და შესაბამისი მოთხოვნის დაფიქსირებისთანავე; მომსახურება "ჯეოსელის" ნომრის ცვლილება/პაკეტის ცვლილება/ნომრის აქციაში დამატება / მიზმულ ნომრებზე პაკეტების აქტივაცია კალენდარული თვის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს 5 -ს (გარდა პაკეტისა "სილქ+" - 119 ლარი);

4.34. "სილქ+" აქციაში ჩართული სილქნეტის ფიქსირებული მომსახურებების გაუქმება ხდება სილქნეტის ფიქსირებული მომსახურების გაუქმების სტანდარტული პროცედურით. ამ შემთხვევაში ავტომატურად მოხდება "სილქ+" აქციის გაუქმება;

4.35. მისამართის ცვლილების დროს, თუ სილქნეტის ფიქსირებული მომსახურებების აბონენტს სურს მომსახურება "ჯეოსელის" იგივე ნომრების რეგისტრაცია, ახალ მისამართზე სილქნეტის ფიქსირებული მომსახურებების ჩართვისთანავე მოხდება მომსახურება "ჯეოსელის" ნომრების აქტივაცია (ავტომატურად გაუქმდება ძველ მისამართზე) ახალი განაცხადის შემთხვევაში;

4.36. სილქნეტის ფიქსირებული მომსახურებების გადაფორმების შემთხვევაში, ახალი აბონენტის (ვისზეც ხდება მომსახურების გადაფორმება) სურვილისამებრ, მოხდება "სილქ + " აქციის გაუქმება, ან შენარჩუნება. გადაფორმებისას აქციის პირობის გაუქმების შემთხვევაში, გააქტიურდება სილქნეტის ოპტიკური ორმაგი შეთავაზება. ხოლო შენარჩუნების შემთხვევაში მომსახურება ჯეოსელის ნომრებზე პაკეტების ვადის ათვლა არ წყდება.

4.37. რეინსტალაციისას სილქნეტის ფიქსირებული მომსახურებების აბონენტმა უნდა ადადგინოს სილქნეტის ოპტიკური მომსახურებები და რეინსტალაციის განაცხადის რეგისტრაციისთანავე შეუძლია მოითხოვოს ამ მომსახურებების "სილქ + " აქციის პირობებით რეგისტრაცია.

სატარიფო გეგმა

სილქ+ პაკეტი 45 ლარი (თბილისი)

მომსახურების დასახელება	პაკეტი
ინტერნეტი	20 მბ/წმ "სტარტ +"
ტელევიზია	პაკეტი "ეკონომი"
მობილური სერვისი (ტარიფის ფარგლებში შესაძლებელია მაქსიმუმ 2 მობილური ნომრის ჩართვა)	ჯეოსელის პაკეტი "მეტი M"
სასაუბრო დრო	უასარულო შიდა ქსელში
ინტერნეტი	700 მბ ინტერნეტი
სმს	ულიმიტო
შეთავაზებით განსაზღვრული ტარიფის ფარგლებში ჩართული ნომრების რაოდენობა	2 ნომერი
შეთავაზებით განსაზღვრული პაკეტის ჯამური ყოველთვიური ღირებულება	45
პაკეტში შემავალი ნომრების ზემოთ ყოველ მომდევნო ჯეოსელის ნომერზე პაკეტის ღირებულება	
პაკეტი "მეტი M"	5
პაკეტი "მეტი უსასარულო"	20
შეთავაზებაში ჩართული მობილური ნომრების მაქსიმალური რაოდენობა	5 ნომერი

სილქ+ პაკეტი 54 ლარი (თბილისი და რეგიონი) *

*რეგიონებში 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მოქმედებს აქციის ტარიფი

მომსახურების დასახელება	პაკეტი
ინტერნეტი	20 მბ/წმ "სტარტ +"
ტელევიზია	პაკეტი "კომფორტი ახალი"
მობილური სერვისი (ტარიფის ფარგლებში შესაძლებელია მაქსიმუმ 2 მობილური ნომრის ჩართვა)	ჯეოსელის პაკეტი "მეტი M"
სასაუბრო დრო	უსასრულო შიდა ქსელში
ინტერნეტი	700 მბ ინტერნეტი
სმს	ულიმიტო
შეთავაზებით განსაზღვრული ტარიფის ფარგლებში ჩართული ნომრების რაოდენობა	2 ნომერი
შეთავაზებით განსაზღვრული პაკეტის ჯამური ყოველთვიური ღირებულება	54
პაკეტში შემავალი ნომრების ზემოთ ყოველ მომდევნო ჯეოსელის ნომერზე პაკეტის ღირებულება	
პაკეტი "მეტი M"	5
პაკეტი "მეტი უსასრულო"	20
შეთავაზებაში ჩართული მობილური ნომრების მაქსიმალური რაოდენობა	5 ნომერი

სილქ+ პაკეტი 37 ლარი (რეგიონები: ზესტაფონის, გორის, რუთავის და ქუთაისის გარდა) - ტარიფი მოქმედია 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით

მომსახურების დასახელება	პაკეტი
ინტერნეტი	20 მბ/წმ "სტარტ +"
ტელევიზია	პაკეტი "კომფორტი ახალი "
მობილური სერვისი (ტარიფის ფარგლებში შესაძლებელია მაქსიმუმ 2 მობილური ნომრის ჩართვა)	ჯეოსელის პაკეტი "მეტი M"
სასაუბრო დრო	უსასრულო შიდა ქსელში
ინტერნეტი	700 მბ ინტერნეტი
სმს	ულიმიტო
შეთავაზებით განსაზღვრული ტარიფის ფარგლებში ჩართული ნომრების რაოდენობა	2 ნომერი
შეთავაზებით განსაზღვრული პაკეტის ჯამური ყოველთვიური ღირებულება	37
პაკეტში შემავალი ნომრების ზემოთ ყოველ მომდევნო ჯეოსელის ნომერზე პაკეტის ღირებულება	
პაკეტი "მეტი M"	5
პაკეტი "მეტი უსასრულო"	20
შეთავაზებაში ჩართული მობილური ნომრების მაქსიმალური რაოდენობა	5 ნომერი

სილქ+ პაკეტი 35 ლარი (რეგიონები: ზესტაფონი, რუთავი, გორი და ქუთაისი) – ტარიფი მოქმედია 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით

მომსახურების დასახელება	პაკეტი
ინტერნეტი	20 მბ/წმ "სტარტ +"
ტელევიზია	პაკეტი "კომფორტი ახალი"
მობილური სერვისი (ტარიფის ფარგლებში შესაძლებელია მაქსიმუმ 2 მობილური ნომრის ჩართვა)	ჯეოსელის პაკეტი "მეტი M"
სასაუბრო დრო	უსასრულო შიდა ქსელში
ინტერნეტი	700 მბ ინტერნეტი
სმს	ულიმიტო
შეთავაზებით განსაზღვრული ტარიფის ფარგლებში ჩართული ნომრების რაოდენობა	2 ნომერი
შეთავაზებით განსაზღვრული პაკეტის ჯამური ყოველთვიური ღირებულება	35
პაკეტში შემავალი ნომრების ზემოთ ყოველ მომდევნო ჯეოსელის ნომერზე პაკეტის ღირებულება	
პაკეტი "მეტი M"	5
პაკეტი "მეტი უსასრულო"	20

შეთავაზებაში ჩართული მობილური ნომრების
 მაქსიმალური რაოდენობა 5 ნომერი

სილქ + პაკეტი 79 ლარი (თბილისი და ყველა რეგიონი)

მომსახურების დასახელება	პაკეტი
ინტერნეტი	20 მბ/წმ "სტარტ +"
ტელევიზია	პაკეტი "პრემიუმი+"
მობილური სერვისი (ტარიფის ფარგლებში შესაძლებელია მაქსიმუმ 2 მობილური ნომრის ჩართვა)	ჯეოსელის პაკეტი "შეტი უსასრულო"
სასაუბრო დრო	ულიმიტო ზარი ყველა ოპერატორთან
ინტერნეტი	1 გბ ინტერნეტი
სმს	ულიმიტო
შეთავაზებით განსაზღვრული ტარიფის ფარგლებში ჩართული ნომრების რაოდენობა	2 ნომერი
შეთავაზებით განსაზღვრული პაკეტის ჯამური ყოველთვიური ღირებულება	79
პაკეტში შემაგალი ნომრების ზემოთ ყოველ მომდევნო ჯეოსელის ნომერზე პაკეტის ღირებულება	
პაკეტი "შეტი M"	5
პაკეტი "შეტი უსასრულო"	20
შეთავაზებაში ჩართული მობილური ნომრების მაქსიმალური რაოდენობა	5 ნომერი

სილქ + პაკეტი 119 ლარი (თბილისი და ყველა რეგიონი)

მომსახურების დასახელება	პაკეტი
ინტერნეტი	50 მბ/წმ "სუპერდრაივი"
ტელევიზია	პაკეტი "პრემიუმი +"
მობილური სერვისი (ტარიფის ფარგლებში შესაძლებელია მაქსიმუმ 5 მობილური ნომრის ჩართვა)	ჯეოსელის პაკეტი "შეტი უსასრულო +"
სასაუბრო დრო	ულიმიტო ზარი ყველა ოპერატორთან
ინტერნეტი	5 გბ ინტერნეტი
სმს	ულიმიტო
შეთავაზებით განსაზღვრული ტარიფის ფარგლებში ჩართული ნომრების რაოდენობა	5 ნომერი
შეთავაზებით განსაზღვრული პაკეტის ჯამური ღირებულება	119

დეტალურად ცვლილებებისა და სატარიფო გეგმისთვის ეწვიეთ სილქნეტის ვებ გვერდს www.silknet.com.

„სილქნეტის“ წარმომადგენელი _____

აბონენტი _____